ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ცხრა თვის გაწეული ანგარიში

2019 წლის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ადგილობრივი შემოსავლები დაგეგმილია 285 000 ლარით. ცხრა თვეში შემოსულია 265 151 ლარი, რაც დაგეგმილის 93%. აქედან ქონების გადასახადი დაგეგმილია 50 000 ლარით, შემოსულია 81 402 ლარი, რაც დაგეგმილის 162% - ია. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის დაგეგმილია 200 000 ლარით, შემოსულია 150 380 ლარი, რაც დაგეგმილის 75%-ია. საქონელი და მომსახურება დაგეგმილია 25 000ლარი, შემოსულია 23 988 ლარი, რაც დაგეგმილის 95%-ია. სანქციები, ჯარიმები და საურავები დაგეგმილია 10 000 ლარი, შემოსულია 9 381 ლარი, რაც დაგეგმილის 93%-ია. დ.ღ.გ. დაგეგმილია 3, 454 400 ლარით, შემოსულია 2, 610 000 ლარი, რაც დაგეგმილის 75%-ია.

საქართველოს მთავრობის 12 თებერვლის N 215 განკარგულებით ლენტეხის მუნიციპალიტეტს სტიქიების სალიკვიდაციოდ გამოეყო 930 000 ლარი. ტენდერი გამოცხადდა და ხელშეკრულება გაფორმდა 19 ობიექტზე.

საქართველოს მთავრობის N 2577 განკარგულებით რეგ. ფონდიდან ლენტეხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2, 310 000 ლარი. ტენდერი გამოცხადდა და ხელშეკრულება გაფორმდა 16 ობიექტზე.

საქართველოს მთავრობის N 557 განკარგულებით სტიქიის პრევენციის მიზნით ლენტეხის მუნიციპალიტეტს გამოეყო 193 970 ლარი. ტენდერი გამოცხადდა და ხელშეკრულება გაფორმდა 5 ობიექტზე.

საქართველოს მთავრობის N 554 განკარგულებით ამბულატორიების რეაბილიტაციისთვის გამოიყო 201 000 ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა 6 ობიექტზე. ახალი ამბულატორიებისათვის გამოიყო 225 000 ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა 3 ობიექტზე.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით საჯარო სკოლების რეაბილიტაციისათვის გამოიყო 310 000 ლარი. ტენდერი გამოცხადდა და ხელშეკრულება გაფორმდა 7 ობიექტზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შევიდა 9 ცვლილება, რაც ძირითადად განპირობებული იყო საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხების ასახვით.

ლენტეხის მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოეყო 594 000 ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა 59 ობიექტზე.

მუნიციპალიტეტსა და მეწარმე სუბიექტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების საფუძველზე ჩვენი სამსახურის მიერ დროულად ხდება თანხის მოთხოვნა და შემდგომ გადარიცხვა.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის თანამშრომლების მიერ დროულად ხდება შემოსული კორესპონდენციების პასუხის გაცემა. და ყველა ნორმატიულ აქტზე შესაბამისი რეაგირება. თავის დროზე ირიცხება შრომის ანაზღაურება, სოც. დახმარებები და სხვადასხვა ღონისძიებებისთვის განსაზღვრული დაფინანსებები.

ტახუ ჩანქსელიანი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი